

საქართველოს კანონი

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N32(39), 1999 წელი, მუხ. 166) 60¹-ე მუხლს დამატოს შემდეგი შინაარსის „1“ პუნქტი:

„1¹. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლების გარდა, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი მიზანშეწონილების მოტივით, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი